

8. ქართული სამართლის ძეგლებში შესული ზოგიერთი კონკრეტული მუხლი ითვალისწინებს ღირსების შეღახვისადმი ქართველთა ასეთ დამოკიდებულებას. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლის მერვე პუნქტი, სადაც ვკითხულობთ, რომ თუ გლეხი თავის ცოლს საკუთარ ბატონთან წაასწორებს საწოლში მყოფს, ბატონის მოკვლის შემთხვევაში თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან. ამ შემთხვევაში, ყმა-გლეხის სრული გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, განპირობებულია, სწორედ, მისი ღირსების უკიდურესი შეღახვის ფაქტორით. კანონმდებელს ვარგად ესმოდა, თუ რას ნიშნვდა ქართველი კაცისათვის ასეთი შეურაცხყოფა და ამის გათვალისწინებით, საკუთარი ღირსების დასაცავად ჩადენილი მკვლელობის დევრიმინალიზაცია იქნა დაშვებული.

9. ვახტანგის სამართლის წიგნი წოდებრივ პრინციპზე დაფუძნებული სამართლის ძეგლია, თუმცა ამ შემთხვევაში იგი წოდებრიობის პრინციპზე მაღლა ადამიანის ღირსებას აყენებს. ყმა-გლეხის უფლება მოკლას საკუთარი ბატონი, მის მიერ ყმის ღირსების შებღალვის შემთხვევაში, ამის საუკეთესო დადასტურებაა.

10. ღირსების, როგორც უმნიშვნელოვანესი ფასეულობის გათვალისწინება ქართული სამართლის ძეგლების სხვა ნორმებშიც გვხდება. ზოგიერთი მათგანი ღირსების შეღახვისათვის ისეთივე სასჯელს ითვალისწინებს, რაც მკვლელობისთვისაა გათვალისწინებული.

საქართველოს
მართლმადიდებელ
ეკლესიანთან
არაებული
ქრისტიანული
კვლევის
საერთაშორისო
ცენტრი



გიორგი დავითაშვილი

ძველი ქართული სამართალი ეროვნული ფასეულობების ჭრილში

თეზისები

1. სამართალი კულტუროლოგიური მოვლენაა. სამართლის ნორმები თვალსაჩინოდ ასახავს საზოგადოების, თუ ერის კულტურული განვითარების დონეს. ამდენად, სამართლის ნორმებში შესაძლოა გამოხატული იყოს ის ფასეულობანი, რომლებიც მოცემული საზოგადოებისათვის, თუ ერისთვის არის არსებითი.
2. ცალსახად დასტურდება, რომ ძველი ქართული სამართალი, კერძოდ, სამართლის ძეგლები, უპირატესად ქართველი ერისთვის მნიშვნელოვან ფასეულობებს ეყრდნობა. მაგალითად, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ისეთ ფასეულობებს, რომელიც სამართლიანობა და ღირსება. მათი ხელყოფა ქართულ სინამდვილეში განსაკუთრებული სიმძაფრით აღიქმებოდა და შესაბამისად, ძველქართულ კანონმდებლობას მათი დაცვა უმთავრეს, ეროვნული მნიშვნელობის ამოცანად ესახებოდა.
3. ძველი ქართული სამართალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამართალწარმოებისას სამართლიანობის პრინციპის დაცვას. ეს მოთხოვნა, უპირველეს ყოვლისა, მოსამართლებზე ვრცელდებოდა, რამაც ასახვა ქართული სამართლის ძეგლებშიც ჰქოვდა.
4. მოსამართლის განაჩენი საზოგადოებაში სწორედ სამართლიანობის დამკვიდრებისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული. ვახტანგ VI სამართლის წიგნი უსამართლობის გამომტან მოსამართლეს ღვთიური სასკელის გარდაუვლობას შეახსენებს. აღნიშნული ღვთავაბრივი სანქციის სრული შეგნება მოსამართლების მხრიდან წარმოადგენდა მათ მიერ სამართლიანი

განაჩენის გამოტანის უზრუნველყოფის უფრო ეფექტურ საშუალებას, ვიდრე სახელმწიფოს მიერ დაწესებული სანქცია.

5. სამართლიანი განაჩენის გამოტანა, როგორც მართლმსაჭულების განხორციელების ძირითადი პრინციპი ძველ ქართულ სამართალში, განაპირობებდა შესაბამისი თვისებების მატარებელი მოსამართლების შერჩევის აუცილებლობას. ქართული სამართლის ძეგლებში ვხდებით იმ თვისებების ჩამონათვალს, რომლებიც უნდა ახასიათებდეს მოსამართლეებს: ღვთის მოშიშობა, უქრთამობა, სამართლიანობა, მიუდგომლობა და სხვა.
6. საზოგადოებაში სამართლიანობის განცდის დამკვიდრება სასამართლოს სამართლიანი საქმიანობის გზით ქართველი მეფეების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო ქართველი მეფეების აქტიური სამოსამართლეო საქმიანობა.
7. საქართველოში ღირსება უაღრესად მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენდა. მისი შელახვა პიროვნების უდიდეს შეურაცხყოფად ითვლებოდა. ხშირად ღირსების შემლახავი ქმედება უფრო მძაფრ რეაქციას იწვევდა დაზარალებულის მხრიდან, ვიდრე მისთვის ფიზიკური, თუ ქონებრივი ზიანის მიყენება. კანონმდებელი მეფე ვახტანგ მეექვსე თავისი სამართლის წიგნის ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ქართველთა წეს-ჩვეულებანი განსხვავდება სხვა ხალხის წეს-ჩვეულებათაგან, მათ შორის „სხვა არს ღალატი და უკადრისი“, ანუ ქართველი ადამიანი სხვათაგან განსხვავებულად აღიქვამს ღალატს, შეურაცხყოფას და ზოგადად ღირსების შელახვას. ეს გარემოება აისახა კიდეც ვახტანგის სამართლის წიგნში და ქართული სამართლის სხვა ძეგლებშიც.